

„დამტკიცებულია“

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
თ.ლორთქიფანიძის 2018 წლის 26.04 ბრძანებით N03-01ა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და

სპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი

სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი გეგმა

თბილისი - 2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის 2014-2020 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

გეგმა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომლის შესრულებაც შესაძლებელია ერთი წლის მანძილზე და რომელიც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული რგოლის გაერთიანებას საერთო ღირებულებებისა და მიზნების ირგვლივ.

გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) იდენტიფიკაციას და განსაზღვრავს განხორციელების დროს

I. საზოგადოებრივი კოლეჯის სტრუქტურა და საქმიანობის

ძირითადი მაჩვენებლები

საზოგადოებრივი კოლეჯის მიზანია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. მაღალკვალფიციური პროფესიული

განათლების მასწავლებელთა მოზიდვა და შენარჩუნება.

ამავე დროს სტუდენტი სასწავლო პროცესის გარდა ჩართული იყოს კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში. კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტთა თვითშემოქმედებას, ატარებს კონფერენციებს, კულტურულ ღონისძიებებს, სპორტულ შეჯიბრებებს. სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს მშობლიურ და სხვა ერების კულტურას.

კოლეჯის სტრუქტურა შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების თანამედროვე მოთხოვნებს; საკუთარი განახლებადი ვებგვერდი, ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, მუდმივი ინტერნეტი;

კოლეჯის ფუნქციონირების ეფექტურობას ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობა მრავალ სამთავრობო, თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან, სპორტულ და სამედიცინო დაწესებულებებთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს სტუდენტთა სტაჟირებას და პრაქტიკის გავლას აღნიშნულ ორგანიზაციებში პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით.

II. სტრატეგიული ამოცანები

საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება მოიცავს

შემდეგ ზოგად პრიორიტულ მიზნებს:

- გამართული სასწავლო პროცესის ორგანიზების უზრუნველყოფა;
- სწავლების ხარისხის და მისი შეფასების მექანიზმების უზრუნველყოფა;
- კოლეჯის სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებადი მაღალი ხარისხის
- საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და რეალიზაცია, საგანმანათლებლო

პროგრამების მუდმივი განახლება და ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

- კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგები, მივლინებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების გასაზიარებლად;
- საგანმანათლებლო სისტემისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის სისტემის განვითარება;

• საგანმანათლებლო პროცესების მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფა;

- სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და გამოცდილების

მიღების მიზნით მჭიდრო კავშირების დამყარება ცალკეულ ფედერაციებთან და შესაბამის დაწესებულებებთან;

• კოლეჯი ცდილობს დაამყაროს აქტიური კონტაქტები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე პროფესიულ სასწავლებლებთან.

III. გასატარებელი ღონისძიებებისა და მათი შესრულების ვადები

გასატარებელი ღონისძიებები	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი პირი
ერთწლიანი სასწავლო გეგმის შედგენა/შემუშავება	მარტი - აპრილი	სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი, ბუღალტერი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი
კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ინვენტარის შეძენა თბილისსა და ქუთაისში	მარტი- აგვისტო	შესყიდვების სპეციალისტი, ინსპექტირების სპეციალისტი
აქტიური ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების შექმნა/ დანერგვაში	თებერვალი - დეკემბერი	სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი,
კოლეჯში არსებული ორი საგანმანათლებლო პროგრამის - „მწვრთნელი“ და „სამთო გამყოლი“ - მოდიფიცირება /განახლება და აღნიშნული პროგრამების საფუძველზე ე.წ. მოდულური პროგრამების შექმნა. ამ მიზნით ხარისხის ეროვნულ ცენტრთან კონსულტაცია და თანამშრომლობა.	2018 წლის მანძილზე	სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი,
პროფესიული საგანმანათლებლო და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების წარმატებით დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ტრენინგებში მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა, როგორც ადმინისტრაციის, ასევე პედაგოგ-მასწავლებლების	2018 წლის განმავლობაში	სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები
მოკლევადიანი(სასერთიფიკატო) კურსების დანერგვა/ორგანიზება	2018 წლის განმავლობაში	სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები, პედაგოგოები

კოლეჯის ახალი ვებ-გვერდის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება	მაისი - სექტემბერი	IT - სპეციალისტი, საიტის ადმინისტრატორი
პარტნიორული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება/ განახლება ორგანიზაციებთან, კოლეჯებთან და პრაქტიკის ობიექტებთან	წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
მასწავლებელთა და სტუდენტთა მეთოდური კონფერენციის მომზადება და წარმატებით ჩატარება	ივნისი-ივლისი	სასწავლო ნაწილის უფროსი, პროგრამების ხელმძღვანელები, პედაგოგები
კომპიუტერული ცენტრის გაუმჯობესება (ახალი კომპიუტერების შეძენა)	მაისი-აგვისტო	დირექტორის მოადგილე, IT სპეციალისტი
ბიბლიოთეკის წიგნებით განახლება	წლის განმავლობაში	ბიბლიოთეკარი
პედაგოგთა და სტუდენტთა პირადი საქმეების მოწესრიგება, ხელშეკრულებების ხელახალი გაფორმება	წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საქმის მწარმოებელი
მზადება საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებისთვის	მარტი-აპრილი სექტემბერი- ოქტომბერი	სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი,
სასწავლო პროცესის მონიტორინგი	წლის მანძილზე	დირექტორი, სასწავლო ნაწილის უფროსი, ხარისხის მენეჯერი